ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2024 წლის 27 სექტემბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის №33 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 20/12/2023, 190020020.35.158.016616) დამტკიცებულ დანართი №1-ში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად, მატერიალური დახმარება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა, გაეწევათ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირობის დაცვით რეგისტრირებულ შეჭირვებული ოჯახების წევრებს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა მომართვის პერიოდში. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი „მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეების განცხადებების განმხილველი სამუშაო ჯგუფის“ დასკვნის საფუძველზე, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ადგილზე შესწავლის აქტისა და სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**